"ვამტკიცებ"

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი

სალომე მელია

"შეთანხმებულია"

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის

გენერალური მდივანი

სოფიო გვეტაძე

საჭადრაკო ფესტივალი „ბათუმი-2023"

8, 10, 12 და 20 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის

ქ. ბათუმი, 21-28 ივლისი, 2023 წელი.

დებულება

ორგანიზატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაცია;

ფინანსური მხარდამჭერი:

ქ. ბათუმის მერია და ბათუმის სპორტული ცენტრი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი;

ჩატარების ადგილი: მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე.

მის: ლეონიძის 15.

1.ფესტივალი ჩატარდება შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში:

8 წლამდე ჭაბუკთა შორის	(2015 წ. და შემდეგ წლებში დაბადებულნი)
8 წლამდე გოგონათა შორის	(2015 წ. და შემდეგ წლებში დაბადებულნი)
10 წლამდე ჭაბუკთა შორის	(2013 წ. და შემდეგ წლებში დაბადებულნი)
10 წლამდე გოგონათა შორის	(2013 წ. და შემდეგ წლებში დაბადებულნი)
12 წლამდე ჭაბუკთა შორის	(2011 წ. და შემდეგ წლებში დაბადებულნი)
12 წლამდე გოგონათა შორის	(2011 წ. და შემდეგ წლებში დაბადებულნი)

20 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის - რეიტინგ ტურნირი (2003 წ. და შემდეგ წლებში დაბადებულნი)

2.ფესტივალის სათამაშო წესები:

ფესტივალი გაიმართება ფიდეს წესებით, ყველა ასაკობრივ კატეგორიაში, შვეიცარიული ან წრიული სისტემით, 7 ტურად. დროის კონტროლი: 60 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. 20 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში დაითვლება ფიდე-ს რეიტინგი.
აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას და დროის კონტროლს განსაზღვრავს ორგანიზატორი.

3.რეგისტრაცია:

ფესტივალში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, ასაკობრივი ცენზის დაცვით.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრს, რომელსაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ ფესტივალში, შესაბამის რეგიონალურ ფედერაციაში გადახდილი უნდა ჰქონდეს ფედერაციის წლიური საწევრო. (24 ლარი)

ფესტივალში მონაწილეობისათვის სავალდებულოა სარეგისტრაციო ფორმის შევსება შემდეგ ბმულზე:

https://forms.gle/6NqmpFaFTbA8mPTP9

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2023 წლის 19 ივლისის 19:00 საათი.

საკონტაქტო ელ. ფოსტა: info@acf.ge მობ: 599 069497, 555 387526

რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

5.ფესტივალის განრიგი:

ჩამოსვლის დღე	21 ივლისი	
გახსნა	22 ივლისი	14:00
I ტური	22 ივლისი	15:00
II ტური	23 ივლისი	14:00
III ტური	24 ივლისი	14:00
IV ტური	25 ივლისი	14:00
ღია რეიტინგ ტურნირი ელვისებურ ჭადრაკში	25 ივლისი	17:00
V ტური	26 ივლისი	14:00
VI ტური	27 ივლისი	14:00
VII ტური	28 ივლისი	12:00
დახურვა	28 ივლისი	16:00

მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით ორგანიზატორი უფლებამოსილია მოახდინოს ტურნირის დაწყების დროის (საათი) კორექტირება.

6. გამარჯვებულების გამოვლენა:

ორი ან რამდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

შვეიცარიული ტურნირის შემთხვევაში:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი - 1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების რაოდენობა.

წრიული ტურნირის შემთხვევაში:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
4. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

7.დაჯილდოება და პრიზები:

ყველა კატეგორიის გამარჯვებული ხუთეული ვაჟი და გოგონა დაჯილდოვდება დიპლომით, სამეული - მედლით და ჩემპიონს ასევე გადაეცემა თასი.

8,10 და 12 წლამდე ასაკობრივ კატეგორიებში დამატებით გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები.

20 წლამდე კი სპორტული მაღაზიის სასაჩუქრე ვაუჩერები. ასევე 14 და 16 წლამდე კატეგორიებში გამოიყოფა 1 საუკეთესო ჭაბუკი და გოგონა რომლებიც დაჯილდოვდებიან დიპლომით, მედლით და ფასიანი საჩუქრით.
- ყოველდღიურად გაიმართება საჭადრაკო ვიქტორინა და დაწესებული იქნება სხვადასხვა სპეციალური პრიზი.
- პრიზებისა და საჩუქრების მისაღებად სავალდებულოა დახურვაზე დასწრება.

8.მწვრთნელთა კონკურსი

მწვრთნელთა კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია, რომ ფესტივალის ასაკობრივ კატეგორიებში თამაშობდეს მისი მინიმუმ 3 მოსწავლე და პედაგოგი იმყოფებოდეს ტურნირზე. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა მწვრთნელებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ მე-3 ტურის დაწყებამდე.

ყველა ასაკობრივ კატეგორიაში I-V ადგილზე გასული მოჭადრაკეების მწვრთნელების ქულათა შედეგების შეჯამება მოხდება შემდეგი პრინციპით:

I ადგილლი - 10 ქულა

II ადგილი - 8 ქულა

III ადგილი - 6 ქულა

IV ადგილი - 4 ქულა

V ადგილი - 2 ქულა

ქულათა რაოდენობის მიხედვით გამარჯვებული 5 მწვრთნელი დიპლომთან ერთად დაჯილდოვდება ფულადი პრიზებით:

(პრიზები დაიქვითება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად)

- I ადგილი - 300 ლ.

- II ადგილი - 250 ლ.

- III ადგილი - 200 ლ.

- IV ადგილი - 150 ლ.

- V ადგილი - 100 ლ.

ღია ბლიც ტურნირი:

25 ივლისს, ასევე გაიმართება ღია ტურნირი ელვისებურ ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობის მიღება ფესტივალის მონაწილეებთან ერთად შეეძლებათ დელეგაციების თანმხლებ პირებს და ყველა მსურველს. დასაწყისი 17:00 სთ.

ტურნირი ჩატარდება ფიდეს წესებით 7 ტურად. დროის კონტროლი: 3 წუთი 2 წამის დამატებით.

აუცილებლობის შემთხვევაში, რეიტინგის დათვლას, ტურნირის ჩატარების სისტემას და დროის კონტროლს განსაზღვრავს ორგანიზატორი.

ბლიც ტურნირის პრიზები:

გამარჯვებული სამული დაჯილდოვდება დიპლომით და მედლით, ჩემპიონი ასევე თასით. ტურნირში ასევე გამოიყოფა საუკეთესო ქალი მოჭადრაკე.

ფულადი ჯილდო:

(პრიზები დაიქვითება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად)

- I ადგილი - 300 ლ.

- II ადგილი - 200 ლ.

- III ადგილი - 150 ლ.

- I ადგილი ქალთა შორის - 150 ლ.

- პრიზების მისაღებად სავალდებულოა დახურვაზე დასწრება, რომელიც გაიმართება 28 ივლისის 16:00 საათზე.

სატურნირო შესატანი 40 ლ.

სოციალურად დაუცველი და შშმ პირები გათავისუფლებულები არიან სატურნირო შესატანისგან.

სატურნირო შესატანის წინასწარი ანგარიშსწორება იწარმოებს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაცია

საინდ. კოდი: 245424704 ს.ს."საქართველოს ბანკი"

ანგარიშის № GE95BG 0000 000 363 099 200

9.საერთო წესები:

ტურზე დაგვიანების შემთხვევაში, საათზე დროის ამოწურვის შემდეგ მონაწილეს ჩაეწერება წაგება.

პარტიის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩაეწერება წაგება.

ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში, რომელიც არჩეული იქნება ფესტივალის გახსნის ცერემონიაზე. მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად აჭარის ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

ტურნირის დირექტორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია

მთავარი მსაჯი: საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ფიდეს არბიტრი ლეონიდ ნეურონოვი.